



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო  
დადგენილება № 01-05-04/156

ქ. თბილისი

26 სექტემბერი 2024წ

სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორის  
კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ<sup>2</sup> ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ<sup>4</sup> ქვეპუნქტისა, სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 სექტემბრის №01-05-02/25 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე დამტკიცდეს **მიხეილ ფიფიას** კანდიდატურა 5 წლის ვადით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე